# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 163

„ 8 " მაისი 2017 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №51-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.15.005.070) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 9 მარტის №10 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 2 მაისის №04/5340 წერილის (AR1481979) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №51-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.15.005.070) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1481979 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი






განაშენიანების რეგულირების პარამეტრები

სამრეწველო ზონა 2

| | | |
|---|---|---|
| კ-1 | - | კოეფიციენტი |
| კ-2 | - | კოეფიციენტი |
| კ-3 | 0.1 | კოეფიციენტი |

საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული სამუშაოების შედეგად მიღებული კოეფიციენტები

სამრეწველო ზონა 2

| | | | |
|---|---|---|---|
| | კ-1 | 0.3 | კოეფიციენტი |
| | კ-2 | 1.1 | კოეფიციენტი |
| | კ-3 | 0.1 | კოეფიციენტი |
| მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები | მინიმალური ფართობი | 15631 | კვ.მ |
| | მინიმალური სიგანე | 91 | მეტრი |
| | მინიმალური სიღრმე | 147 | მეტრი |
| შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე | | 10.50 | მეტრი |
| შენობა-ნაგებობის სართულიანობა | | 4 | |

საკადასტრო საზღვარი
საპროექტო შენობა-ნაგებობა
გამწვანება
არსებული შენობები
მოასფალტებული გზა
გზის მოდერნიზაციის შეზღუდვა
საპროექტო ტროტუარი
საპროექტო გზის სავალი ნაწილი

გეგმა მ.1:2000 ფასადი მ.1:1000



YLD&CO




ნილი სივრცით -ტერიტორიული განვითარების რეგლამენტი

| | |
|---|---|
| კოდი | 01.19.15.005.070 |
| | 15631 კვ.მ |
| ი დანიშნულება | საწყობი |
| ი ზონა | გზის მოდერნიზაციის შეზღუდვა |
| ურული ზონა | არ არის |
| ნი ზონა | საწარმოო ზონა 2 |
| ების სტატუსი | სამშენებლოდ გამოყენების სტატუსი |
| ა მასში შემავალი ფუნქცია | შერეული |
| | კ1-0.3 კ2-1.1 კ3-0.1 |
| ულიანობა | 4 |
| ალური რაოდენობა | არ არის |

ოექტო შენობა .განაშენიანების ფართობი 1234 კვ.მ

საკადასტრო საზღვარი